№ 279 საქართველოს მოამბე ოფიციალური გაზეთი ნელიწადი მესამე

საქართველო

რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ტფილისში, დეკემბრის 8 1920 წ.

საქართველოს მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. საშეწყალებო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—32.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს პირველად განახ.

„ფრა-დიავოლო“

ხუთშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახლდება „ტოსკა“, პარასკევს, 10 დეკემბერს „აბესალომ და ეთერი“, შაბათს 11 დეკემბერს ოპერა მუშებისათვის.
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.
1002 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

ხუთშაბათს, დეკემბრის 9-ს პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური ტრაღედია

„ბერდო-ზმანია“

ალ. შანშიაშვილისა.

დეკორაციები და ტანისამოსი გვლ. ნიდმონ-გრისთავისა.
მუსიკა დ. არაყიშვილისა. რეჟისორი ალ. ახმეტელი.
ბალეტი და ხორო.

შაბათს, დეკემბრის 11-ს მეორეჯერ
„ბერდო-ზმანია“
კვირას დეკემბრის 12-ს „გვარდიის საღამო“.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
1012 2—1

ტფილისის საბაჟო
ამით აცხადებს,
რომ 18 ამა დეკემბერს საბაჟოს ეზოში
საჯარო ვაჭრობით გაიყიდება
ჩამორთმეული კონტრაბანდული საქონლები და აგრეთვე ის საქონლები, რომლებიც ერთი წლის ვადაში არ იყვნენ გამოსყიდულნი.
1019 3—2

სილნაღის სამაზრო საერობო
გამგეობა
იწვევს
მომრიგებელ მოსამართლეებს ლაგოდეხის, სიღნაღის და ქოდალოს უბანში,
სამაზრო სტატისტიკოსს და სათემო ინსტრუქტორს.
შსურველთ-უნდა მიმართონ თხოვნით და შესაფერ საბუთების წარდგენით ზემოაღნიშნულ გამგეობასთან შეთანხმებით.
საერობო გამგეობა.
1018 3—3

გზათა დეპარტამენტი,
დამატებით
ა./წ. ივნისის 4-ის განცხადებისა და მთავრობის ოქტომბრის 12-ის
დადგენილებისა,
ხელახლად აცხადებს,
რომ, მიუხედავად ბაქოდან ნავთის მიღებისა, აკრძალულია ნავთის ხმარება ბინების, თორნეების, სამზარეულების და სხვა და სხვა დაწესებულებათა გასათბობად და სთხოვს მომხმარებელთ, რათა არ მიჰმართონ აღნიშნულ საჭიროებისათვის ნავთის მიცემის შესახებ, ვინაიდან მათი თხოვნა დაკმაყოფილებული ვერ იქნება. ამიტომ მათ უნდა იზრუნონ სხვაგვარ სათბობის შეძენისათვის.
1—1
1020

თელავის საკუთრების განგე
ამით აცხადებს
რომ დეკემბრის 20-ს 1920 წელს, 12 საათზე
თელავის ერთის გინაზე მოხდება საჯარო ვაჭრობა
გასაყიდათ 500 წიფლის ხისა ტკეჩის დასამზადებლად №№ 1—500, კისისხევის დაბაში, ფასი ერთი მილიონი მანეთი.
400 წიფლის ხე №№ 1—400 ნახშირის დასაწვავათ, ზემო-ხედაშენის დაბაში თელავის სატყეო, ფასი 518396 მ. პირობების გაგება შეიძლება ტყის გამგესთან ქალ. თელავში.
1022 1—1

სილნაღის სამაზრო საერობო
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 19 დეკემბერს ა/წ.
მოწვეულია სიღნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მე-V ყრილობა.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერობო გამგეობის მიმდინარე წლის მომქმედების შესახებ, 2) 1919 წ. ფინანსიური ანგარიშის განხილვა, 3) 1921 წ. შემოსავალ გასავლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) სესხის აღების შესახებ, 5) საერობო მოსამსახურეთა ამა წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, 6) მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა, 7) კაკაბეთის თემიდან ყანდაურის, ახაშნის თემიდან ჩუმლაყის და გურჯაანის თემიდან ვეჯინის გამოყოფის და ახალი თემების დაარსების შესახებ, 8) გამგეობის თავმჯდომარის არჩევა, 9) მიმდინარე საკითხები, ვთხოვთ ყველა ხმოსნებს უეჭველად დაესწრან აღნიშნულ ყრილობას, რომელიც მოხდება დილის 10 საათზედ, საერობო გამგეობის ბინაზედ.
სამაზრო საერობო გამგეობა.
1021 5—1

არა ოფიციალური განყოფილება.

საქართველო და ერთა ლიგა

„ტანი“ ბეჭდავს საქართველოს მემორანდუმის საბოლოო ნაწილს, რომელიც საქართველოს დელეგაციამ ე. ჰ. გეგეჭკორის და ზ. ავალიშვილის სახით წარუდგინა ერთა ლიგის კონფერენციას ჟენევაში საქართველოს რესპუბლიკის ერთა ლიგის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

„დადგა რა დასავლეთ დემოკრატიის დროშის ქვეშ, ამბობს მემორანდუმის საბოლოო ნაწილი, საქართველოს ხალხი ბუნებრივათ, განსაკუთრებული სიმპატიით ეპყრობა ისეთ პოლიტიკურ სისტემის შექმნის იდეას, რომელიც არის პარდაპირი შედეგი ომისა და რომელიც ამავე დროს არის საშუალება, რათა მომავალში აიცილოს კაცობრიობამ თავიდან ომის წარმოშობა. ერთა ლიგა, რომელიც ასეთ სისტემას შეიცავს წარმოადგენს საუცხოვო მიღწევას თავის ნაყოფიერებით, რათა კაცობრიობამ მიაღწიოს მომავალში სრულ კავშირს. აღძრავს რა შუამდგომლობას ერთა ლიგაში მიღების შესახებ, საქართველო სრულიად არ ხელმძღვანელობს სურვილით მიიღოს აქედან რაიმე უპირატესობა პოლიტიკური ან სხვა რაიმე ხასიათისა. საქართველოს სურს მხოლოდ იცნოს განათლებულმა ერებმა ის დიადი მუშაობა, რომელიც მიმართულია თავისუფლების და დემოკრატიულ წყობილების დამყარებისაკენ. გარდა ამისა საქართველოს მხურვალე და გულწრფელი სურვილ არის მიიღოს თავიდანვე მონაწილეობა ლიგის საერთო მუშაობაში, რომელიც მიმართულია ხალხთა შორის მშვიდობიანობის გამტკიცებისაკენ.

საქართველოს სურს მიიღოს თავის თავზე რამდენათაც ეს მას შეუძლია ნაწილი ამ მუშაობაში. საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ რესპუბლიკის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა იძლევა ისეთ პირობებს, რომ მას ხალხს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო საზავო პოლიტიკაში, რომლს განმახორციელებელ ორგანოთ ხალხთა ლიგა ითვლება. ლიგა მით უმეტეს მეტ ძალას მიიღებს, რაც უფრო გულწრფელათ და აქტიურად შემოიერთებს იმ პოლიტიკურ ფაქტორებს, რომელთაც შეუძლიათ მოახდინონ გავლენა სხვა და სხვა ქვეყნებში საზოგადოებრივ აზრზე და უხელმძღვანელონ მას.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგის ავტორიტეტის იმ ქვეყნებში განმტკიცებას, რომლებსაც ან თავიანთ გეოგრაფიულ მდგომარეობით, ან პოლიტიკურ პირობებით შეუძლიათ გახდენ სხვა და სხვა გართულების კერად, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია მოახდინოს გავლენა და გავრცელდეს ევროპის პოლიტიკურ მთლიან ცხოვრებაში. არ იქნება გადამეტება მტკიცებაში, რომ ასეთ პირობებში იმყოფება სწორეთ კავკასიის ყელი. პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკათა სიმტკიცე (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) არის აუცილებელი პირობა ახალ ოსმალეთის და სპარსეთის თავისუფალ განვითარებისა, ვინაიდან ამ გზით აღნიშნული სახელმწიფოები განთავისუფლებული იქნებიან გარეშე მტრების შესევის მუდმივ მუქარისაგენ. კავკასიის ყელის სახელმწიფოთა სიმტკიცე საჭიროა იმიტომაც, რომ აზიის წინა ნაწილი არ გახდეს მსხვერპლი მეტოქეობისა და ჯიბრისა.

ამიერ-კავკასიის მიზანი საერთაშორისო პოლიტიკაში, როგორც ეს გამორკვეული არის იმ გავლენათა და ბატონობის სფეროების ჩამოშორებაა, რომლებშიაც არის ტენდენცია კონფლიქტის გამოწვევისაკენ მიმართული. ამ მხრით ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა გამაგრებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველო არის ამიერ კავკასიის ერთი უმთავრესი ნაწილი ნათელი გახდება, რომ საქართველოს მიღება ერთა ლიგაში გაუადვილებს მას (ერთა ლიგას) ამიერ კავკასიის პოლიტიკის წარმოებას და ამავე დროს ასწევს თვით ლიგის ავტორიტეტს ამიერ-კავკასიაში, სადაც ამ ავტორიტეტის დამტკიცებას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება.

არსებობს კიდევ მეორე შეხედულება ამ პრობლემაზე, რომლის ძალით საკითხი ამიერ

კავკასიის სახელმწიფოთა შესახებ და აგრეთვე საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ ხდება საერთაშორისო საკითხათ: ეს არის მიმოსვლის იმ გზების მნიშვნელობა, რომლებიც მიდიან საქართველოზე სპარსეთში, სომხეთში და შუა აზიაში. ცოტაა ისეთი სავაჭრო გზები, რომლებსაც ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდეს, როგორიც არის გზა, რომელიც მიდის ამიერ-კავკასიით და აერთებს დასავლეთს ახლო მდებარე და შუა აზიის სხვა და სხვა ქვეყნებთან.

ამ გზის საერთაშორისო ხასიათის დასაცავად და მის გამოსაყენებლად საუკეთესო გარანტია იქნება ის დახმარება, რომელსაც ერთა ლიგა მისცემდა ამიერ-კავკასიის ქვეყნებს: საქართველოს ერთა ლიგაში შესვლა კი ამ მიზანს მეტად გააღვივებდა. მეორე მხრით როგორც ეს ჩვენ შეგვიძლიან გავითვალისწინოთ ერთა ლიგის მთავარი მიზანი იქნება მოწყობა და გაუმჯობესება გზებისა სხვა და სხვა ერებს შორის. ამიერ კავკასიის ქვეყნები და კერძოდ საქართველო უცხოელთა ბატონობიდან განთავისუფლებული გამოადგება ლიგას დასაყრდნობ საფუძველათ აღმოსავლეთში.

კავკასიის საკითხის ასეთი საბოლოო გადაწყვეტა, რომელიც ეთანაბარება ერთა ლიგის მოქმედების საფუძველათ დადებულ პრინციპებს, გაადვილებული იქნება მეტად საქართველოს ერთა ლიგაში მიღებით, იმ საქართველოსი, რომლის მდგომარეობა და წინანდელი როლი უზრუნველყოფს მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გარდა ზემო მოყვანილ მოსაზრებისა, საქართველოს მთავრობა ფიქრობს რომ თვით პრინციპები, რომლებმაც უნდა მოაწესრიგონ საერთაშორისო ცხოვრება სოლიდარობისაკენ მიმართული, მოითხოვენ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში ძველი ერის მიღებას, რომელიც ოდესღაც იყო ქრისტიანობის ავანგარდი აღმოსავლეთში, და რომელიც დღეს ითვლება დემოკრატიის ავანგარდათ. უნდა იქნეს მიღებული ის ერი, რომელიც მიისწრაფის თავისუფალ შრომისაკენ თავის სახლში, რომელიც არის მისი კანონიერი და უდავო მემკვიდრეობა.

დამფუძნებელი კრება

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. გრ. ლორთქიფანიძემ დამფუძნებელი კრების 7 დეკემბრის სხდომაზე გააკეთა მოხსენება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; მან აღნიშნა ბათომის გარშემო ატეხილი დავის გამო მთავრობის მიერ მიღებული ზომები; ანგორის მთავრობასთან დამოკიდებულობის შესახებ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ მთავრობა, როგორც ყველა მეზობლებთან ანგორის მთავრობასთანაც ცდილობს დაამყაროს კეთილ-მეზობლური განწყობილება; ანგორის მთავრობის ცნობით მასაც სურს ჩვენთან მეგობრული კავშირი და სადაო საკითხების შეთანხმებით გადაჭრა. სომხეთის გაწითლების შესახებ ბ. გრ. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ მთავრობის პოლიტიკა ეხლაც მიმართული იქნება კეთილ მეზობლურ განწყობილებასა და სოლიდარობისაკენ.

გარდა ამისა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ მობილიზაცია ბრწყინვალედ ჩატარდა და ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია მზად არის დაიცვას საქართველოს მთლიანობა თავზე დამცემ მტრისაგანო.

თავდაცვის საქმეც კარგად მიმდინარეობს.

დამფუძნებელმა კრებამ, გარდა ესერებისა, ერთხმად გაიზიარა მთავრობის მიერ მიღებული ზომები და მოხსენება მხურვალე ტაშით მიიღო.

დაწვრილებით სხდომის ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ე. გეგეჭკორი ვილიანთან.

ნოემბრის 5, ე. გეგეჭკორმა ინახულა საფრანგეთის დელეგატი ერთა ლიგაში ვივიანი და გააცნო რა მას საქართველოს მდგომარეობა, სთხოვა აღმოეჩინა დახმარება საქართველოს რესპუბლიკათვის მის კანონიერ სურვილში ერთა ლიგაში მიღების შესახებ. ვივიანი დიდის ყურადღებით მოეპყრო ე. გეგეჭკორის მიერ წარდგენილ მოსაზრებებს და დაპირდა მას, რომ ერთა ლიგის მომავალ უახლოეს სხდომაზე იგი (ვივიანი) მიიღებს თავის თავზე დაცვას და საქართველოს შეამდგომლობის დასაბუთებას ერთა ლიგაში დაშვების შესახებ. ამ დაპირებას საქართველოს რესპუბლიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან თანახმად ერთა ლიგის სტატუტისა ის სახელმწიფოები, რომლებიც არ ითვლებიან ლიგის წევრებათ, მოკლებულნი არიან საშვალებას დაიცვან უშუამავლოთ თავისი წინადადება ერთა ლიგაში მიღების შესახებ და მათ ინტერესების დაცვა უნდა გამოდიოდეს ერთა ლიგის რომელიმე ძველ წევრისაგან, რომელიც მიიღებს თავის თავზე „ვექილის“ როლს.

ე. გეგეჭკორის ვივიანთან მოლაპარაკების დროს დაესწრო რენოდელი, რომელიც იცავდა საქართველოს რესპუბლიკის უფლებას დამოუკიდებლობაზე და მხურვალედ ამტკიცებდა საქართველოს ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების აუცილებლობას.

სომხეთში

როგორ დამყარდა საბჭოთა ძალა-უფლება სომხეთში.

საბჭოთა ძალა-უფლების დამკვიდრების შემდეგ სომხეთში დელიჯანში და იდჯევანში გლეხთა აჯანყებას არა ჰქონია ადგილი. სომხების ჯარების ნაწილი ამ ადგილში არ ყოფილან ვინაიდან დროებითი ზავის გამო, რომელიც ოსმალებთან დაიდო სომხეთის ჯარები თავმოყრილი იყო სადემარკაციო ხაზზე, რაიმე ახალ თავდასხმის წინააღმდეგ შესაბრძოლებლად.

ნოემბრის ბოლო რიცხვებში საბჭოთა რუსეთის ჯარები გადავიდნენ ყაზახის რაიონს და დაიკავეს იჯევანი. ამის გამო სომხეთის მთავრობამ ენერგიულ პროტესტით მიმართა ლეგრანს. ლეგრანმა ამაზე უპასუხა რომ ჯარების გადასვლა მოხდა სრულიად გამოურკვეველ მიზეზით და ის დაუყონებლივ გასცემს ბრძანებას ჯარის უკანვე დაბრუნების შესახებ. მიუხედავად ამისა საბჭოთა ჯარებმა წინ წაიწიეს დელიჯნისკენ. მცირე სროლის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს დელიჯანიც, ჯარებთან ერთად დელიჯანში ჩამოვიდა ბაქოში შედგენილი რევკომი. რევკომი სრული შემადგენლობით არ იყო, ზოგიერთი მისი წევრები (მაგ. ბეკზადიანი და სხვა) ჩამოვიდნენ დავეიანებით.

ვრაცინის კაბინეთი, მომხდარ ამბების გამო, გადადგა. გენერ. დრომ მოლაპარაკება დაიწყო რევკომთან და როგორც მალე გამოირკვა, სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად ახალ კაბინეთში შევიდნენ დრო და მემარცხე დაშნაკც. პარტიიდან—ტერტერიანი.

3 დეკემბერს დღის 4 საათზე ერევანში შესდგა ადგილობრივი რევკომი, რომელსაც ერევანში საბჭოთა მთავრობა გამოეცხადებინა. ტერტერიანი ახალ მთავრობაში არ შევიდა. დრო შევიდა ახალ კაბინეთში პერსონალურად. რუსეთის საბჭოთა ჯარებს მოელოდნენ ერევანში 5 დეკემბერს დილით. ოსმალებმა ვაანთავისუფლეს, გუმბრი და გადავიდნენ არპაჩაიაზე.

საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი ბუდუ მდივანი არ იყო დაშვებული გუმბრის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ.

გუმბრის ზავი.

ერევნის რადიო, 4 დეკემბერი. დაშნაკცელების მთავრობის წარმომადგენელმა ხატისოვმა ოსმალებთან ხელი მოაწერა ზავზე შემდეგი პირობებით: ოსმალეთ და სომხეთ შორის საზღვრათ ითვლება შემდეგი ხაზი: მდინარე კარა-სუს დასაწყისიდან, მდინარე არაქსი, არაპჩაი და კარახანკის ხევი, აღმისავლეთის დიდი გამილი, ქიზილტაში, დიდი მთა აღბაბა, გეგდაგი 10.282—8.022 (ზოგიერთი სიტყვა არ არის მიღებული) 3.020 (გამოშვებულია), 3.867 მდინარე არაჭაიდან (გამოშვებულია) 6.930 (გამოშვებულია) სადგური არარატი (დამახინჯებულია, ზოგიერთი ოლქები (გაურჩევლია) იმყოფება ოსმალეთის მფარველობის ქვეშ და მის მმართველობაში არავითარი საქმე არ ეკითხება სომხეთს პლებიცისტის გამოკვეთამდეს, რომელიც შეადგენს გარკვეულ საზღვრებს. მშვიდობიანობის დასამყარებლად და იმპერიალისტურ აზრების აგიტაციის მოსასპობად ნება დართულია მცირე რიცხოვანის შეიარაღებული ჟანდარმერიის ყოლა. სომხეთის საზღვრების დასაცავად სომხეთს ნება ეძლევა იყოლიოს შეიარაღებული ძალა 1.500 ჯარის-კაცით. ამ ნაჩვენებ რიცხვის მეტი სომხეთს ნება არ აქვს ყვანდეს სხვა ზედ მეტი ჯარი („სლოვო“).

უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

მუშა ემიგრანტები.

შვეიცარიის პრესა გადმოგვცემს, რომ მრავალი ემიგრანტი მუშა მიემგზავრება შეერთებულ შტატებში. ემიგრანტებში მრავალი საათის ხელოსანი იმყოფება, რის გამოც ამ ახლო ხანში ამერიკაში მეტად გაძლიერდება საათის კეთების საქმე. ამგვარად ამერიკა საათის წარმოებაში დიდ ჭიშპობას გაუწევს შვეიცარიას.

ერთა ლიგაში.

ვენეცუელისა და კუბის მთავრობებმა გადაწყვიტეს ერთა ლიგის საერთო ყრილობაზე გააგზავნონ თავისი წარმომადგენელი იმ მიზნით, რომ ზემო აღნიშნული რესპუბლიკანი მიიღონ ერთა ლიგაში.

საფრანგეთის კომისარი.

საფრანგეთის უმაღლეს კომისრათ სტამბოლში დაინიშნა ამირბარი ბონდი დეფრანსის მაგიერ.

საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო.

„ტანი“ აქვეყნებს ლონდონიდან მოსულ დეპეშას, სადაც აღნიშნულია, რომ ბრიტანეთის მთავრობისადმი მიმართული მოსკოვის საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი ნოტა მეტად მკაცრი კილოთი არის შედგენილი. საბჭოთა მთავრობა ბრალსა სდებს ინგლისს იმაში, რომ იგი ეწინააღმდეგება რუსეთთან კომერციულ დამოკიდებულების აღდგენის საკითხს და რომ იგი აგრესიულ გეგმებს ადგენს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ნოტის კილოს დიპლომატიურ წრეებში მეტისმეტად თავხედურად სთვლიან და ამას ხსნიან იმ მოსაზრებით, რომ მოსკოვს სურს მოლაპარაკება შესწყვიტოს ინგლისის მთავრობასთან. „ტაიმს“ შესაძლებლად მიაჩნია, რომ ლენინი განგებ აკავებს რუსეთში მყოფ ინგლისელ ტყვეებს.

ამ ნოტის გამო „დეილი მიროორი“ სწერს: ინგლისის მთავრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აქეზებს სპარსეთსა და სხვა სახელმწიფოებსო.

რუსეთის ფეხზე დასაყენებლად.

რობერტ ხორნმა ოქსფორდში წარმოთქმულ სიტყვაში რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ სთქვა: ინგლისმა უნდა მიიღოს ზომები რუსეთის ფეხზე დასაყენებლად. ევროპამ უნდა გაუხსნას გზა რუსეთის ნაწარმოებს, უამისოდ ევროპა ვერ აიცილებს ასურსათო კრიზისს და მაშასადამე ვერც მუშების უკმაყოფილებასო.

ვრანგელის თხოვნა.

პრესა იუწყება: გენ. ვრანგელმა მიმართა წინადადებით გენ. ტოუსხენდის კუჯელ-ამარის დამცველს, მიიღოს თავის თავზე რუსეთის ჯარის სარდლობაო. „ტანი“ გადმოგვცემს, რომ ტოუსხენდი ვრანგელს ალბად უარს ეტყვისო.

ხელშეკრულების გადათვალიერება.

„ფარმაციონი“ იუწყება: ამ დღეებში შესდგა მოკავშირეთა თათბირი ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების გადათვალიერების საკითხის განსახილველადო. ფიქრობენ საზავო ხელშეკრულებაში შეტანილ ცვლილების ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებას.

სომხეთის გარშემო

„ნიუ-იორკი“ სწერს: რუსეთის ბალშევიზმმა წააგო რა ომი დასავლეთ ფრონტზე გაექანა მცირე წინააღმდეგობის ხაზით და ახლო აღმოსავლეთს მიაშურა. სომხეთი უძლური აღმოჩნდა გაეწია წინააღმდეგობა საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთისათვის და ამიტომ მან (სომხეთმა) უნდა მიიღოს პოლიტიკური მართველობის იმავე ფორმა, რაც რუსეთში არსებობს. ამასთანავე რუსეთსა და ოსმალეთის ინტერესებს შორის შეტაკება უნდა მოხდეს აუცილებლად. საბჭოთა პრესაში უკვე ისმის ოსმალეთისადმი უნდობლობით გაჟღენთილი ხმები. ბალშევიკებში იწვევს შიშს ბათომის ოლქის ბედი, რომელიც არის ნაწილი დამოუკიდებელ საქართველოსი და რომელიც ოსმალეთის პრეტენზიების ობიექტს შეადგენს.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობები).

სახელდო ცნობა.

დეკემბრის 6, მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელია. საბჭოთა რუსეთის მშრომელმა ხალხმა დაამარცხა უკანასკნელი მტერი ბალხოვ ჩა. ფრონტებზე სიმშვიდეა. მართალია, ჩვენ უნდა ვიდგეთ კვლავ სადარაჯოებზე, ვინაიდან გარს შემორტყმული ვართ ბურჟუაზიულ ქვეყნებით, მაგრამ დასვენების დრო მაინც მოგვეცა. დასავლეთის ქვეყნები ემზადებიან საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენას. ინგლისსა და ამერიკას წახედეს სხვა ქვეყნებმაც. იტალიასა და საბჭოთა რუსეთის შორის დამოკიდებულება მოკლე ხანში განახლდება. პოლონეთი, ლატვია და ფინეთი ადგენენ კომისიებს, რომლებმაც დაუყონებლივ უნდა მოაწესრიგონ საკითხი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა. გერმანიაში დაარსდა საგანგებო საზოგადოება, რომლის მიზანსაც შეადგენს რუსეთსა და გერმანიის შორის სავაჭრო დამოკიდებულების გაადვილება. საქონლის გაცვლა-გამოცვლას დასავლეთ ევროპასთან, მაშინ შეუძლიან მოუტანოს საბჭოთა რუსეთს დადებითი შედეგები, თუ რუსეთში აღსდგება მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შემოგველევა სავაჭრო ფონდი და საზღვარგარეთ გასატანად არაფერი არ დაგვრჩება.

მახნო დამარცხდა.

ხარკოვის სალაქო საბჭოს სხდომაზე უკრაინის სახალხო კომისართა თავმჯდომარე რაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება მახნოს დამარცხების შესახებ. ნოემბრის 5, წითელმა ჯარებმა დაიწყეს მოქმედება მახნოს წინააღმდეგ. ჩვენ შევსძელით შემოვრტყმოდით გარშემო მახნოს ყირიმის ჯგუფის ნაწილებს. ბანდიტების ლიკვიდაცია სრულდება. სრულიად განადგურებულია მახნოს გულიაი-პოლეს ჯგუფი. რამდენიმე ასეული თვით მახნოს მეთაურობით მიიმალა. ამ ბანდიტების ჯგუფის ლიკვიდაციაც მალე მოხდება.

პეტლიურას ბედი

პოლონეთის მთავრობამ პეტლიურა და მისი მთავრობის წევრები სამოქალაქო ტყვეებათ გაიოაცხადა.

ვრანგელის წინადადება

ვრანგელმა აცნობა საფრანგეთის მთავრობას პარიზში მისვლის სურვილის შესახებ. ვრანგელს განზრახული აქვს მოელაპარაკოს საფრანგეთის მთავრობას იმის შესახებ, რომ მისი ჯარი, რომელიც 70.000 კაცისაგან შესდგება იქნეს გამოყენებული მოკავშირეთა მიერ.—თეთრ გვარდიელთა ლიკვიდაციაა შორეულ აღმოსავლეთში. ატამან სემიონოვი იაპონიაში გაემგზავრა.

რიგი გერმანიის პროლეტარიატზეა

ბერლინში გაიხსნა ყრილობა გერმანიის კომუნისტებისა და მემარცხენე დამოუკიდებელთა. კლარა ცეტკინმა, რომელიც მოსკოვიდან დაბრუნდა, თავის მისალმებაში განაცხადა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა შეასრულა თავის ვალი, რიგი გერმანიის პროლეტარიატზეაო.

რგ. გზელთა გაფიცვა ნორვეგიაში

ნორვეგიის რკ. გზელთა გაფიცვა გრძელდება. მის მხარეზეა სიმპატია მთელი ნორვეგიის პროლეტარიატისა. დღეს ქრისტიანიაში მოხდა დემონსტრაცია, რომელშიაც 20.000 მუშა იღებდა მონაწილეობას.

ლიონის ცნობები.

სენატორი მარკ-კორმიკი პარიზში

სენატორ მარკ-კორმიკი პარიზში ჩავიდა მან განაცხადა, რომ იგი მოგზაურობს როგორც კერძო პირი და რომ მის მიზანს შეადგენს საფრანგეთის იტალიის და ცენტრალურ ევროპის განადგურებულ ადგილების აღდგენის საშვალებათა შესწავლაო.

კეინკსის მოსაზრებათა უარყოფა

ანრი-ბრენიე მარსელის სავაჭრო პალატის მთავარი დერექტორი და პარიზში არსებულ პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი „ტაიმსი“-ს ფურცლებზე ბეჭდავს წერილებს, იმ დებულებების წინააღმდეგ, რომლებსაც შეიცავს კეინკსის წიგნი „ომის ეკონომიური შედეგები“ ბრენიე უარყოფს ინგლისელ მწერლის მოსაზრებებს, თითქოს საფრანგეთი ამეტებდეს იმ მატერიალურ დანაკლისს, რომელიც მან მიმდინარე ომის ნახა.

კონფერენცია ლონდონში.

ლონდონში ეხლახან დასრულებულმა კონფერენციამ საგრძნობი შედეგები მოიტანა. საკმარისი იყო რვა დღე რომ დიდ სახელმწიფოთა შორის და განსაკუთრებით ინგლისსა და საფრანგეთს შორის მომხდარიყო სრული შეთანხმება იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს ანტანტამ წინააღმდეგ საბერძნეთში შექმნილ ახალი მდგომარეობისა. ძნელი იყო ასეთ შედეგების მიღწევა, მოლაპარაკების დაწყებისას საფრანგეთის მხრით აშკარად იყო გამოთქმული სურვილი, რომ იგი მეფე კონსტანტისეს წინააღმდეგ მტრულ პოზიციას დაიკავებსო. ინგლისურ წრეებში

თანახმად ინგლისურ პრესისა არა თუ არ გამოთქვამდენ წინააღმდეგობას კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებისადმი, არამედ იცავდენ იმ აზრს, რომ კონსტანტინეს დაბრუნება არის გარანტია აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დასამყარებლადო. მხოლოდ დაგვიანებით აღიარეს ჩვენმა მოკავშირეებმა, რომ საჭიროა ამ შემთხვევაში ზოგიერთ გარანტიების მიღებაო. ასეთ მდგომარეობაში იყო საკითხი მოლაპარაკების დაწყებისას, რომელიც დასრულდა სამი მკაცრი ზომის მიღებით: მიღებული იქნა განცხადება, რომ მოკავშირეები წინააღმდეგი არიან კონსტანტინეს დაბრუნებისა, რომ მოკავშირეები არ ცნობენ 200 მილიონის დრახმის რალისის მთავრობის მიერ გამოშვებას მაშინ, როდესაც მას (რალისს) არ ჰქონდა მოკავშირეთა თანხმობა, რაც არის დარღვევა საბერძნეთის კანონებისა და 1897, 1918 წლ. ხელშეკრულებისა დასასრულ საფრანგეთი და იტალია სწყვეტს ფინანსიურ დახმარებას, რომელსაც აძლევდენ საბერძნეთს დღიდან კონსტანტინეს ტახტზე დაბრუნებისას. გარდა ამისა ანტანტამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროა ზომების მიღება აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დასამყარებლად. ამ გადაწყვეტილებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდან იგი აძლევს მოქმედების თავისუფლებას მოკავშირეებს სევრის ხელშეკრულების მიმართ. ზოგიერთი მისაღები ზომა მოკავშირეებმა უკვე განიხილეს და მათ შესახებ მოკავშირეებს შორის ფაქტიურად სრული თანხმობა ჩამოვარდა, როგორც ინგლისში, ისე ფრანგულ წრეებში ფიქრობენ, რომ კონფერენცია საჭიროდ ჩატარდაო. შეიძლება ვთქვათ, რომ საფრანგეთის და ინგლისის შორის უკანასკნელ კვირის განმავლობაში მეგობრული დამოკიდებულება უფრო განმტკიცდა.

კონფლიქტი ფიუმეში.

იტალიის დეპუტატების ჯგუფი გაემგზავრა ფიუმეში კონფლიქტის მოსაწესრიგებლად. იტალიის პრესა იმედს გამოსთქვამს, რომ კონფლიქტი მალე აშორებულ იქნება თავიდანო.

ერთა ლიგაში.

არგენტინის დელეგაციის თავმჯდომარემ შაბათს ერთა ლიგის ყრილობის თავმჯდომარეს გადასცა წერილი, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ არგენტინის დელეგაცია უარს ამბობს ერთა ლიგის კრებაში მონაწილეობის მიღებაზეო. ასეთ გადაწყვეტილებას დელეგაცია ასაბუთებს მით, რომ ლიგამ უარყო ზოგიერთი შესწორებები, რომლებიც შეიტანა არგენტინის დელეგაციამ.

რუსეთ-პოლონეთის საზავო ხელშეკრულება.

რიგიდან მიღებულ ცნობების თანახმად რუსეთს და პოლონეთს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება ამ მოკლე დროში.

ახალი ამბები

100.000 შპალის შეკვეთა. მომარაგების სამინისტრომ მიწად მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებას შეუკვეთა 100 ათასი შპალის დამზადება საზღვარ გარეთ გასატანათ. სატყეო საბჭომ დეკემბრის პირველის სხდომაზე დაადგინა მიიღოს ეს წინადადება და დაამზადოს შპალები შორაპნისა, ფარცხნალისა და ვიბანის სატყეო აგარაკებში. აღნიშნულ შპალების დამზადება განხრახულია შორაპნის სამაზრო ერობისა და ადგილობრივ ტყის მრეწველთა საშუალებით.

დუშეთის ერობის შუამდგომლობა. დუშეთის სამაზრო ერობამ აღძრა შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე ზოგიერთ კერძო მამულების სამაზრო თემების განკარგულებაში გადაცემის შესახებ.

ბათომის ოლქში სწავლა-განათლების გასავრცელებლად სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი ახალი ბარჯთ-აღრიცხვისა ბათომისა და ბათომის ოლქის სასწავლო დაწესებულებათათვის. პროექტი დასამტკიცებლად მთავრობას გადაეცა.

კინო-ატელიეს გაფართოება. სახალხო განათლების სამინისტრო შევიდა მთავრობაში წინადადებით სახელმწიფო კინო-ატელიეს მოქმედების გასაფართოებლად საჭირო თანხის გაღების შესახებ. სამინისტროს წინადადებით სახელმწიფო კინო წარმოება-მოქმედების პირველ წელშივე არა ნაკლებ 55 მილ. მან. მოგებას მოიტანს. განზრახულია სულ 55 სურათის გადაღება.

სახამართლოს ბოქაულთა დაჯილდოების პროექტი. იუსტიციის სამინისტრომ დაამუშავა პროექტი კანონისა სასამართლოს ბოქაულთა დაჯილდოების შესახებ. პროექტთან თანდართულია ვრცელი განმარტებითი ბარათი. იუსტიციის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ეს პროექტი არის სასამართლო დაწესებულებათა დებულების დამატება. პროექტის დადასტურების შემდეგ იუსტიციის სამინისტრო ფიქრობს მის ცხოვრებაში გატარებას 1921 წ. იანვრის პირველიდან.

მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის გაძლიერება. კანონთა გადამსინჯავმა კომისიამ იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით მიიღო კანონ-პროექტი მოსამსახურეთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. კანონ-პროექტის მეორე მუხლი აღნიშნავს, რომ მოსამსახურე იმ დანაშაულისათვის, რომელმაც თავისი მოქმედებით გამგებლობის წესის ან სახელმწიფოს და სახაზინო ინტერესებს ზიანი მიაყენა, იქნება დატუსაღებული, იმ შემთხვევების გამოკლებით, თუ მოსამსახურე ავათ არის იმდენად, რომ თავისუფლების დაკარგვა გლახათ იმოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. პროექტში ჩამოთვლილია ვრცლად სასჯელთა ნორმები მოსამსახურეთა სხვა და სხვა დანაშაულის შესახებ.

მომოხვლის აღდგენა. სამხედრო გზის უღელტეხილზე ყოველგვარი მსვლელობა ეტლითა და ავტომობილით აღდგენილია. ინჟენერი ჯაში.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. ხუთშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ (ყოფ. ფრეილინის) ქუჩ., № 11, შესდგა ტეხნიკური საზოგადოების საზოგადო კრება, რომელზედაც გაიმართება ბაასი ტეხნიკურ და ეკონომიურ საკითხებზე.

პარასკევს, 10 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, იქვე გაიმართება კომისიის სხდომა საუღელტეხილო რკინის გზის ბესლან—ქუთაისი—კოპიტნარის გეგმარის გასარჩევად.

სახალხო გვარდიის დღე.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან.

(12 დეკემბრის დღესასწაულის საერთო წესრიგი).

საერთო დღესასწაულის ხასიათი ჩვეულებრივია.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა კუთხეებში დღითი იმართება სადღესასწაულო აღლუმები შეიარაღებული ძალებისა. საღამო უნდა მოეწყოს შინაარსიანი პროგრამით—და მიმდინარე მომენტზე მოხსენებებით.

ხელმძღვანელობა ეკისრება ადგილობრივ შტაბებს სამხედრო შტაბებთან, ქალაქის თვითმართველობასთან და ერობასთან ერთად.

(ტფილისის წესრიგი:) დღესასწაული იწყება 11 საათზე. დღესასწაულის ნიშნად წინ ზარბაზნიდან გაისვრიან რამოდენიმეჯერ.

ქალაქი იქნება სადღესასწაულოდ მორთული. ყველა სახლები დროშებით, ყვავილებით, გირლიანდებით.

ტრამვაის ვაგონები და ავტომობილებიც მორთული იქნება.

ამ დღეს ჩვეულებრივი მატარებლები გავლენ საგანგებოდ მორთულნი.

ქუჩაში აფიშები, პლაკატები.

გაიყიდება ჟურნალი „გვარდიელი“, გავრცელდება მოწოდებები. მოწოდებები გავრცელდება ჰაეროპლანითაც.

აღლუმის წესრიგი: მონაწილეობას მიიღებს გვარდია და ჯარი, პროფესიონალური კავშირები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები. ორკესტრები: გვარდიის ჯარის, სასწავლებლების.

გვარდია და ჯარი დაიჭერს ორთავე მხარეს პირველ გიმნაზიიდან დაწყებული ვერის ხიდისაკენ, ხოლო სასახლის მეორე მხარეს დარაზმება პროფესიონალური კავშირები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სიტყვებს წარმოსთქვამენ მთავრობის და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარენი.

საღამოს წესრიგი: ყველა რაიონებში მოეწყობა კლუბებში და თეატრებში, მუდმივ ნაწილებში 1 და 11 სახ. თეატრებში საღამოები დღესასწაულის აღსანიშნავად. საღამოების გახსნამდე გაკეთდება მოხსენებები თანამედროვე მომენტებზე.

საღამოთი რაკეტები, ილუმინაცია, ზარბაზნებიდან სროლა.

შრომის სამინისტროში

— ერობათა კავშირის კომიტეტის შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ შემდეგი განმარტება გააკეთა: მობილიზაციის წესით გაწვეულთა ადგილზე დროებით მოწვეულ მუშებსა და მოსამსახურეებს არ შეუძლიათ მიიღონ პური მუშათა მაგიდიდან. პურის მაგივრათ წარმოებათა პატრონმა დროებით დაქირავებულ მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა მისცენ ჯილდოთ ჯამაგირის 25%.

— წყალთა სამმრთველოს შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ განმარტა: ერთდა იმავე მოსამსახურეს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს ორი შტატის ადგილის დაკავება. 2) პროცენტიულ მომატებას და ერთდროულ დახმარებას მოსამსახურე ერთ ადგილზე უნდა იღებდეს. 3) საპენსიო კასაში შესატანად ფული უნდა დაუკავდეს იმ ადგილზე, სადაც მოსამსახურეს შტატის ადგილი უკავია.

— შრომის მინისტრის ამხანაგის ა. ბახტაძის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა პერსონალისათვის პრემიალურ ჯილდოს შემოღების საკითხის განსახილველად. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ პრემიალურ სისტემის რაციონალური მეთოდით ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარება შეუძლებელია, თათბირმა დაადგინა: გზათა უწყებისა და სახელმწიფო წარმოებათა სატეხნიკო და საადმინისტრაციო დაწესებულებებშიც და კონტორის მოსამსახურეთათვის დროებით შემოიღოს პრემიალური სისტემა. თათბირი დაჯილდოების მიღებულ მეთოდს არა სთვლის უნაკლულოთ და ამიტომ იგი წინადადებას აძლევს სათანადო სახაზინო წარმოებათ, რომ ისინი შეუდგენ დაჯილდოების უფრო რაციონალურ პროექტთა შემუშავებას. ეს პროექტები დამკარებული უნდა იყოს წარმოებათა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და ეკონომიის გაძლიერებაზე.

ტფ. ქალაქის თვითმმართველობაში

— გამგეობის წევრის აკ. პაპავას მოხსენების თანახმად, ჩერქეზოვის ქუჩაზე მყოფი სახალხო კინო-თეატრში გამგეობამ დააწესა შემდეგი ფასები: 30—75 მანეთამდის. გამგეობამ აგრეთვე შუამდგომლობ აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე ბილეთების განთავისუფლების შესახებ სახელმწიფო გადასახადებისგან კინო-თეატრის გახსნის დღიდან.

— გამგეობის წევრებს გ. მაჭავარიანს და ვ. ხახანაშვილს დაევალოთ გადაათვალიერონ ქალაქთა აღწერის გეგმა, შეადგინონ ახალი ხარჯთ-აღრიცხვა და წარუდგინონ მთავრობას. ამას გარდა, რადგან ქალაქი დღითიდღე ძვირდება, ამიტომ შეძენილ უნდა იყოს ეხლავე 500.000 მანეთის საჭირო ქალალდი ხსენებულ აღწერის საჭიროებისათვის.

— ნავთლუღსა და სოლოლაკის საბავშვო ბაღებისათვის ზოშტარიას შემოწირულ თანხიდან გამგეობამ გადასდო 200.000 მანეთი. ეს თანხა მოხმარდება ბავშვების უღარიბეს ნაწილს.

— გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ჩამორთმეულ იქნას ქალაქის სასარგებლოდ ის ელექტრული სადგურები, რომელთა მესაკუთრენი განიზრახავენ წარმოების ლიკვიდაციას.

— ქალაქის სასურსათო დუქნებში პირდაპირი პასუხისმგებლობა დაეკისრა დუქნების გამგეებს და ნოქრებს, რომელთაც ევალებათ დუქნებში დანაკარგის დანაკლისის თვალყურის დევნა იქონიონ.

— გამგეობამ დაადგინა: ვინაიდან ჯარს და გვარდიას ჯერ-ჯერობით არ ყავს ხორცის მომწოდებელი, ამისათვის მიეცეთ მათ უფლება, საღამოობით შეიძინონ ხორცი განსაზღვრულ დუქნიდან და დანარჩენ საზოგადო დაწესებულებებს აეკრძალოთ საღამოობით ხორცის შეძენა. ბითუმად ხორცი მიეცეთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომელნიც ადგილობრივ ხარშავენ ხორცს და ისე ანაწილებენ მოხარშულს. სასურსათო განყოფილებასთან დაარსდეს სპეციალური კომისია იმ სიათა განსახილველად და შესამოწმებლად, რომელიც წარმოდგენილ იქნებიან სხვა და სხვა ორგანიზაციათა მიერ, გარეშე ამ კომისიისა არც ერთ ორგანიზაციას არ მიეცემათ ხორცი.

— ნოემბრის 4-დან თანახმად სასურსათო კომისიის დადგენილებისა შეცვლილ იქნა ტვირთის გადასაზიდი ნიხრი შემდეგი სახით: სადგურიდან—დიდუბეში (ფუთი) 7შ მან. 40 კ. კიროჩნი ქუჩამდე—8 მ. 60 კ. ვორონცოვის ხიდამდე და ჩუღურეთამდე—12 მ. 40 კ. ვერის ხიდამდეს—8 მ. 60 კ. თავისუფალ მოედ. და რუსთაველის პრ.—14 მ. 40 კ. სალდათის ბაზ.—13 მან. სოლოლაკში—20 მ. 70. რიყეში— 18 მან. 70 კ. თათრის მოედნამდე—25 მ. ნახალოვკაში—12 მან. საბურთალოში—25 მ. ჯვრამდინ—20 მ. ავლაბრის მოედნამდე—25 მ. არამიანცის საავად.—30 მ. მთაწმინდამდე—21 მან 80 კ. ორთაჭალამდის—25 მან. წყნეთის ქუჩ.—20 მან.

საავათმყოფო კასათა კონფერენცია.

მორიგ სხდომაზე მოისმინეს ადგილებიდან მოხსენებები. ტფილისის კასის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტფილისის საერთო კასაში შედის 240 წარმოება. წევრთა რიცხვი 5.000, საწარმოო კაპიტალი 11 თვის განმავლობაში 8 მილ. მან. იყო. დახარჯულია 7 მილიონი დახმარებათ ეძლევათ ხელფასის სამი მეოთხედი. ამ დღეებში იხსნება ამბულატორია კასის მონაწილეთათვის და იმ მუშათათვის, რომელთაც საექიმო დახმარება არ ეძლევათ დაწესებულებებში. ტფილისის ტრამვაის საავათმყოფო კასაში, რომლის წევრები 1.200, დახმარება ეძლევა ხელფასის ნაწილს სამი მეოთხედიდან ერთ ნახევრამდის. მიმდინარე წელში დახარჯულია 1 მილ. ნახევარი მან. დახმარების მისაცემად გადადებულია ნახევარი მილიონი.

რკინის გზელთა დაზღვევის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საავათმყოფო კასის ფუნქციას ასრულებს ორი ორგანო: საექიმო-სანიტარული კომისია და საპენსიო კასა. საექიმო დახმარებისათვის მოწყობილა 13 ამბულატორია. ამას გარდა სადგურებზე არის თავშესაფარი. ტფილისის საავათმყოფოში ნავარაუდევია 240 საწოლი. სურამის, ცემის და ქობულეთის სანატორიუმში რკ. გზელებს შეუძლიათ იაქიმონ 6 თვის განმავლობაში, სრული ჯამაგირი ეძლევათ 4 თვის განმავლობაში. დროებით მოსამსახურეები და მუშები ასეთსავე საექიმო დახმარებას ღებულობენ იმ განსხვავებით, რომ ჯამაგირი მათ მხოლოდ ნახევარი ეძლევათ. საპენსიო კასა პენსიას აძლევს მათ, ვისაც შრომის უნარი დაკარგული აქვს. ყოველ წლივ ხდება ხელახალი შემოღება. ქვრივებსა და ობლებს ეძლევათ იმდენი პენსია, რამდენიც საერთოთ დაზარალებულთ.

ბათომის საავათმყოფო კასა დაარსდა. წევრთა რიცხვი 700. დახმარება ეძლევათ სამუშაო ქირის ნახევრიდან ორ მესამედამდე. ტყიბულის კასაში ირიცხება 1.500 წევრი. დახმარება ეძლევათ სამუშაო ხელფასის თანაბრათ. წევრებს დახმარებას აძლევენ სტიქიური უბედურობის დროსაც. 1920 წ. კასაში შემოვიდა 1 მილ. მან. ფოთის კასაში ირიცხება 694 წევრი, სოხუმისაში—700, ქუთაისისაში—300. ჭიათურაში საავათმყოფო კასა არ არსებობს. საექიმო დახმარებას უწევს შავი ქვის-სამრეწველო ყრილობის საბჭო. დახმარებას აძლევენ სამუშაო ხელფასის ნახევარს. ინვალიდობის დროს იგივე ყრილობის საბჭო აძლევს პენსიას. ქსანკაში კასა ორი წელია რაც არსებობს. დახმარებას აძლევს სამუშაო ხელფასის ნახევრიდან სამ მეოთხედი. ბორჯომში არსებობს კასა სახელმწიფო ქონების და ბორჯომის მიწის ქარხნების მუშებისა.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლის დეკემბრის 10-ს საჯარო სხდომაზე განხილულ იქნება შემდეგი საქმეები:

1. საქმე მიხეილ კოდალოვის ზაქარია რობლინთან 25000 მან. თაობაზე.
2. საქმე პავლე პანკრატოვის იაკობ რიჟკოვთან 3610 მან. 35 კაპ. თაობაზე.
3. საქმე ისაია შავგულაძის ნიკიფორე სირაძესთან და ივანე გიორგაძესთან ადგილის თაობაზე.
4. საქმე სალომე ბეჟალავასი გვაზავას ასულის გარდაცვალებულ გერასიმე ბეჟალავას ქონებით სარგებლობის და მოურავის დანიშვნის თაობაზე.
5. საქმე ივანე ბერაძის ყარამან გორდელაძესთან 2275 მან. თაობაზე.
6. საქმე პეტუია სარაიასი გიგო, კანტარია, სამსონ, ივანე, ლუკა, ძიკო და სერნა სარიებთან ადგილის თაობაზე.
7. საქმე გარსევან კურდღელაშვილის ნიკოლოზ და ნინო ტვარილაშვილებთან მამულის თაობაზე.
8. საქმე მაქსიმე ბურჯანაძის ბიჭია არბაძესთან წისქვილის თაობაზე.

Բաժանորդագրությունը կատարվում է բոլոր փոստային բաժանմունքներում, նամակատարների և գյուղական խորհուրդների միջոցով։

Բաժանորդագրության գինը՝ 1 ամսվա 3 ռ. 60 կ., 3 ամսվա 10 ռ. 80 կ., 6 ամսվա 21 ռ. 60 կ., տարեկան 43 ռ. 20 կ.

Արտասահմանում՝ 1 ամսվա 4 ռ. 50 կ., 3 ամսվա 13 ռ. 50 կ., 6 ամսվա 27 ռ., տարեկան 54 ռ.

Բաժանորդագրության գումարը ուղարկել Հայկական Սովետական Հանրագիտարանի հրատարակչության հասցեով։

Հրատարակչության հասցեն՝ Երևան, Աբովյան փող. № 3։

Հեռախոսներ՝ 3-72-00, 3-72-01, 3-72-02, 3-72-03, 3-72-04, 3-72-05, 3-72-06, 3-72-07, 3-72-08, 3-72-09։

Հրատարակչության տնօրեն՝ Ա. Ա. Ալեքսանյան։

Գլխավոր խմբագիր՝ Ա. Ա. Ալեքսանյան։

Խմբագրության հասցեն՝ Երևան, Աբովյան փող. № 3։

Խմբագրության հեռախոսներ՝ 3-72-00, 3-72-01, 3-72-02, 3-72-03, 3-72-04, 3-72-05, 3-72-06, 3-72-07, 3-72-08, 3-72-09։

Խմբագր